ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3921014

ნომერი: AR1593135

თარიღი : 16.04.2018

გაცემის თარიღი : 19.04.2018

გაცნობის თარიღი : 19.04.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ბარათაშვილის ხიდის ქვეშ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მეჰრდად შაჰვერდიანაზარ პ/ნ 01491020619
- თბილისი გ.კარტოზიას ქ. N 8 კორ. 8 ბ. 68

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის,"კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში წარმოდგენილ თქვენს განცხადებასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ წარმოდგენილ საპროექტო დოკუმენტაციაში გამოვლინდა ხარვეზები, კერძოდ:

- იმისათვის, რომ სამსახურს მიეცეს საკითხზე მსჯელობის საშუალება წარმოდგენილი წარმოდგენილი უნდა იქნას სრულყოფილი განმარტებითი ბარათი ჩასატარებელის სამუშაოების შესახებ, თითოეულ საპროექტო ლოკაციაზე უნდა აიტვირთოს ინდივიდუალური განაცხადი. ამ კონკრეტულ შემთხვევაში განიმარტოს სამუშაოები რა შემხებლობაშია რუკაზე მონიშნულ 01.18.03.013.001.01.502 საკადასტრო ერთეულთან.
- წარმოდგენილი უნდა იქნას საკადასტრო გეგმა საპროექტო ადგილის ჩვენებით და შესაბამისი მესაკუთრის თანხმობით.
- წარმოდგენილი იქნას არსებული სიტუაციის ფოტომასალა სხვადასხვა ხედებიდან.
- წარმოდგენილი იქნას საპროექტო ფოტომონტაჟები სხვადასხვა ხედებიდან, ზომების, მასალებისა და ნიშნულების ჩვენებით.
- საჰაერო ბუშტზე სარეკლამო წარწერის განთავსებისას გათვალისწინებული უნდა იქნას რეკლამის შესახებ და სახელმწიფო ენის შესახებ საქართველოს კანონები.
განგიმარტავთ რეკლამის შესახებ საქართველოს კანონის, მე-4 მუხლის, 2', 3 და 4 პუნქტების მიხედვით: 2'. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე აბრაზე წარწერა შესრულებული უნდა იყოს სახელმწიფო ენაზე, ხოლო სურვილის შემთხვევაში იგი შეიძლება შესრულდეს აგრეთვე უცხოურ ენაზე. უცხოურენოვანი წარწერა ზომით არ უნდა აღემატებოდეს სახელმწიფო ენაზე შესრულებულ წარწერას. 3. უცხო ენაზე შესრულებული წარწერა ზომით (ყველა შემთხვევაში) და რაოდენობით (გარდა ტელეპროდუქციისა) არ უნდა აღემატებოდეს სახელმწიფო ენაზე შესრულებულ (ტრანსლიტერირებულ) ფორმას. 4. ასევე ორენოვანი მანათობელი წარწერის გამოყენების შემთხვევაში აუცილებელია ობიექტზე გაკეთებული ყველა წარწერა (ქართულიც და უცხოურიც) იყოს ერთნაირად განათებული და კითხვადი. ამასთან სახელმწიფო ენის შესახებ საქართველოს კანონის, 25-ე მუხლის , მე-3 პუნქტის მიხედვით: ,,ამ კანონით დადგენილ შემთხვევებში ოფიციალური სახელწოდების სახელმწიფო და არასახელმწიფო ენებზე გადმოცემისას სახელმწიფო ენაზე შესრულებული ტექსტი თავსდება წინ (მარცხნივ ან ზევით), ხოლო არასახელმწიფო ენაზე შესრულებული ტექსტი – შემდეგ (მარჯვნივ ან ქვევით)''

აქვე გაცნობებთ, არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე სრულად ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს.

ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 დღიანი ვადა, აღნიშნულ ვადაში ხარვეზების გამოუსწორებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.